№ 164
სამშაბათი, 2 აგვისტო 1894

1877—1894

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 164
სამშაბათი, 2 აგვისტო 1894

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲘᲠᲘᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
0	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“
გამოდის 1894 წელს
ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲓ.

ვაზეთის დასბერება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ,
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲛᲐᲠᲒ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲡ,
სასახლის ქუჩა, ბანკის ჯარვასა.

საფოსტო ადრესი:
ᲤᲘᲤᲚᲘᲡᲬ. Редакція „ИВЕРІА“.

იმლეგა ქირით სამ-ცხენიანი „ლინეიკა“
ტფილისს გარეთ წასასვლელად
ადრესი: შუა ბაზარი. ოქრომჭედლების რიგი, დარჩო ქოთოვეის სახლები, იკითხეთ დავით არჯევანიძე.
(1—1606—1)

კავკავის ქართულ სასწავლებელში მომავალ სამოსწავლო წლისათვის ბაშვების მიღება შეიძლება 22 აგვისტოოგან 1 სექტემბრამდის. ახალ შემოსაყვანი ბავშვები უნდა იყვნენ ვაეები არა ნაკლებ 7 ან 8 წლისა და ქალები 8 წლისა. სასწავლებელში შემოსვლის დღეს უნდა წარმოადგინონ ადგილობრივი მღვდლისაგან

დაბადება—ნათლობის და ეკმისაგან ყვავილის აცრის მოწმობები.
(3—3—1)

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 28 ამ თვეს საზამთრო სასახლეში მიულოცეს დაქორწინება დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს და დიდს მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს. მიულოცეს სადიპლომატიო კორპუსის წევრებმა, სამღვდელოებამ, სახელმწიფო საბჭოს წევრებმა, მინისტრებმა, სენატორებმა, სასახლის კარის-კაცებმა, სამხედრო და სამოქალაქო უწყების

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜᲘ.

— შეიძლება ეპისკოპოსის ნახვა?

— ბატონმა ეს არის მოისვენა და ხვალ მობრძანდით.

— არა, ჩემი საქმე სახვალიოდ არ გადაიდების, ეხლავე უნდა ვნახო, გთხოვ მოახსენე ანნა მონაზონი გახლავს და თქვენი ნახვა უნდა-თქო. თუ ღმერთი გწამს, მომეხმარე მაჩვენე ეპისკოპოზი ემუდარებოდა მღვდელ მთავრის მეკარეს.

— ბატონო, თქვენც მოგეხსენებათ, რამოდენა მანძილი გამოიარა დღეს. დადალულია, ხვალ ადრე უნდა ადგეს, მოსვენება ეკრვება. თუ ამ მონასტერში მყოფი ხართ, უეჭველად გეცოდინებათ, რომ ხვალ მონაზონი უნდა აკურთხოს იმისთვისაა მობრძანებული მღვდელ-მთავარი.

— დიდ ვიცი, მე თითონ ვარ ის საკურთხი მონაზონი და ამიტომაც მინდა ვნახო.

— თქვენ! კარგი, მაგრამ, რანაირად გავალვიძო. ენახვა იქნება ჯერ არა სძინავს, სთქვა მეკარემ და წავიდა ამბის გასაგებად.

ცოტა ხნის შემდეგ, მონაზონი ოავ-დახრილი იდგა ეპისკოპოსის წინ და ცხარე ცრემლსა ჰღვრიდა.

— რამ გაიძულა შვილო, რომ ამ დროს მოსულხარ, რა გესაქმება? ჰკითხა ეპისკოპოსმა.

— მომიტევე ყოვლად სამღვდელო, რომ შეგაწუხე, მაგრამ გაჭირვებამ გამაბედვინა ამ დროს თქვენთან მოსვლა. მე ის მორჩილი გახლავარ, რომლის კურთხევისათვის თქვენ დღეს მობრძანდით. რასაკვირველია, რადგან ჩვიდმეტი წელიწადი მონასტერში გავატარე, ხვალ მაკურთხებთ, მაგრამ ღირსად არა ვსთვლი ჩემს თავს და ვერც ვეკურთხები ყოვლად სამღვდელოვ.

— რატომ, შე უბედურო, რა ცოდვილი ხარ ისეთი, რომ ეღირსად ჰრაცხ შენს თავს? თითქმის ორმოც წელიწადს გადასცდი და თუ დღემდე არა შესცოდე-რა, დღეს რა შეგემთხვა?

— დღეს-კი არა, დიდის ხნის შეცოდება მამძიღვის და ჩემი კუთხევა შეუძლებელია. ის დანაშაული, რაც მე ჩავიდინე, მიუტევებელია და ამიტომ მოვედი თქვენთან, რომ თუ ნებას მომცეთ შეგატყობინოთ მიზეზი.

— ცოდვა, მოტანებელი არ არის, მაგრამ მიამბე რაში მდგომარეობს შენი საქმე... მონაზონმა ცრემლები მოიწმინდა და დაიწყო:

— გლეხის ქალი ვიყავი. ჩემი მშობლები ხვნა-თესვით სცხოვრებდნენ, სხვა ხელობა იმათ არ იცოდნენ და ჩვენი ცხოვრებაც გაჭირვებული იყო, რადგან მიწის მოსავალი, რაც ბატონის ხარკს გადარჩებოდა იმოდენი არ იყო, რომ წლიდგან წლამდე გვყოფნოდა. ამიტომ მამაჩემი იძულებული იყო, რომ სხვებთან ემუშავნა დღიურად და თითო-ოროლა ბათმანობით შემოეტანა ცოლ-შვილისათვის სარ-

ლოვ, რომ შეგაწუხე, მაგრამ გაჭირვებამ გამაბედვინა ამ დროს თქვენთან მოსვლა. მე ის მორჩილი გახლავარ, რომლის კურთხევისათვის თქვენ დღეს მობრძანდით. რასაკვირველია, რადგან ჩვიდმეტი წელიწადი მონასტერში გავატარე, ხვალ მაკურთხებთ, მაგრამ ღირსად არა ვსთვლი ჩემს თავს და ვერც ვეკურთხები ყოვლად სამღვდელოვ.

— რატომ, შე უბედურო, რა ცოდვილი ხარ ისეთი, რომ ეღირსად ჰრაცხ შენს თავს? თითქმის ორმოც წელიწადს გადასცდი და თუ დღემდე არა შესცოდე-რა, დღეს რა შეგემთხვა?

— დღეს-კი არა, დიდის ხნის შეცოდება მამძიღვის და ჩემი კუთხევა შეუძლებელია. ის დანაშაული, რაც მე ჩავიდინე, მიუტევებელია და ამიტომ მოვედი თქვენთან, რომ თუ ნებას მომცეთ შეგატყობინოთ მიზეზი.

— ცოდვა, მოტანებელი არ არის, მაგრამ მიამბე რაში მდგომარეობს შენი საქმე... მონაზონმა ცრემლები მოიწმინდა და დაიწყო:

— გლეხის ქალი ვიყავი. ჩემი მშობლები ხვნა-თესვით სცხოვრებდნენ, სხვა ხელობა იმათ არ იცოდნენ და ჩვენი ცხოვრებაც გაჭირვებული იყო, რადგან მიწის მოსავალი, რაც ბატონის ხარკს გადარჩებოდა იმოდენი არ იყო, რომ წლიდგან წლამდე გვყოფნოდა. ამიტომ მამაჩემი იძულებული იყო, რომ სხვებთან ემუშავნა დღიურად და თითო-ოროლა ბათმანობით შემოეტანა ცოლ-შვილისათვის სარ-

მოსამსახურებმა და გარეშე ქვეყნების წარმომადგენლებმა. მიართვეს აღრესები და პურ-მარილი თავად-აზნაურობისაგან, ვაჭრებისაგან და მეშალაქეთაგან. საქართველოს თავად-აზნაურობის მხრივ დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს ტფილისის გუბერნიის მარშალმა თავადმა კოსტანტინე ივანეს ძემ მუხრან-ბატონმა მიართვა შემდეგი აღრესი: „თქვენო იმპერატორებენო უმაღლესობავ! ამ ბედნიერს დღეს, როდესაც ახალი ცხოვრება იშლება თქვენს უმაღლესობის წინ, საქართველოს თავად-აზნაურობა ისწრაფის გულწრფელად მოგილოცოსთ და ბედნიერი ცხოვრება ისურვოს თქვენთვის. ეს დღე ძვირფასია ჩვენთვის, რადგანაც იგი აერთებს განუწყვეტელის კავშირით საყვარელს ასულს ჩვენის საყვარელის ხელმწიფისას, იმასთან, რომელიც დაბადებული ჩვენს მიწაზე, აღზრდილი ჩვენს მზის სხივთა ქვეშე და რომელსაც ჩვენ ჩვენად ვუწოდებთ. შეურყეველია, და საკუნოდაც ასეთივე დარჩება თქვენის უთვალსტოტესის მშობლისა და მისის სახლობის მიმართ ის გრძნობა მადლობისა, რომელიც აერთებს და აკავშირებს ქართველებს. ამ გრძნობათა სიღრმიდგან საქართველოს თავად-აზნაურობა გითვლით სალამს თქვენა და დიდს მთავრინას და ამასთან ევედრება უფალს გარდმოგავლინოთ ბედნიერება, კეთილდღეობა და ნაყოფიერი ცხოვრება“. ამ აღრესთან საქართველოს თავად-აზნაურობამ დიდებულს პატარძალს მიართვა ივერიის ყოვლად წმ. ღვთის მშობლის ხატი, დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს—ვერცხლის თოქმა ხონჩა პურ-მარილით. პეტერბურგი გუშინ გაჩირაღდნებული და ბაირაღებით შემკული იყო (Кавказъ).

30 ივლისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოცხადებულია წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიეკეს სესხი უთავმდებო თამასუქით სახელმწიფო ბანკიდგან სასოფლო მეურნეობისათვის. ეს წესები შემოღებული იქმნება ამ წლის პირველ სექტემბრიდგან.

„С.-Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ამ შემოდგომის სესიაზედ სახელმწიფო საბჭო განიხილავს საქმეებს: ზოგიერთი რკინის გზების ხაზინის მიერ გამოსყიდვის შესახებ, პეტერბურგში დედათა სამკურნალო ინსტიტუტის დაარსებისა, სხვა-და-სხვა ქალაქებში რამდენისამე საკომერციო აკადემიისა და კრონშტადტში უმაღლესის საზღვაოსნო სასწავლებლის დაარსების გამო, დებულება საემერიტალო კასსისა ყველა პირველ-დაწყებით სასწავლებლებისა, დებულება საიტიოლოგიო და საგეოლოგიო

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲘ

ᲕᲐᲓᲠᲘᲓᲘ. მალოკოში დასახლებულ ტომთა შორის, მაგზანას ახლო-მახლო ამბოხებაა. მაგზანის გუბერნატორს ეშინიან, თავს არ დაგვეხსნენო. ევროპიელთა ახალ-შენი სამხედრო ხომალდების აქ ყოფნასა თხოულობს.

ᲐᲚᲫᲘᲠᲘ. დაპატიმრებულ იქმნა თორმეტი ანარქისტი, უფრო იტალიისა და გერმანიის ქვეშევრდომნი; ისინი საფრანგეთში იქმნებიან გაგზავნილნი საზღვარ-გარეთ განსადევნელად.

ახალი ამბავი

⁂ 31 ივლისს, ძველს საბაჟოსთან, საღამოს 8 ს. და 15 წამზე გაუჩნდა ცეცხლი გუბერნიის მარშალად ნამყოფის, თავადის ლ. მაღალაშვილის სახლს და თითქმის მთლად დაიწვა. მიზეზი ამ უბედურებისა თურმე ის ყოფილა, რომ უმცროსი შვილი თავადის მაღალაშვილისა ლაპარეთან წამოწოლილი წიგნს კითხულობდა. ამ დროს შეეტყობინეს მას, რომ ჩაი დაელია. როდესაც წამოდგა თავი უკაბედად მიარტყა იმ სტოლს, რომელზედაც ლამპარი იდგა, ლამპარი გადმოვარდა, გატყდა და იმ წამსვე ცეცხლი ფარდებს გაუჩნდა, იქიდან ჭერს და ხუთის წამის განმავლობაში ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ თითქმის მთელს სახლს მოედო... სულ 15 წამიც არ გასულა, რომ ცეცხლის მქრობელი დასი გაჩნდა, გაჩნდა ბ-ნი პოლიციის უფროსიც ᲯᲐ მრავალი მისი მოხელენი, გაჩნდნენ სხვა-და-სხვა პოლკებიდან ᲯᲐრის კაცები საშველად, ყველა დიდის მხნეობით შეუდგნენ ცეცხლის ჩაქრობას, მაგრამ, გარდა ცოტაოდენის ნივთებისა, რომლის ნახევარი თითქმის, ვითომ და მომხმარე ბაზრის ხალხმა წაიღო, ვერა გადაარჩინეს-რა!.. ᲯᲔᲠ ზარალი ცნობაში არ მოუყვანიათ. შენობა დაზღვეულია. ყველაზე სამწუხაროდ დაზარალებულთ ის აქვთ, რომ დაიწვა ერთი ძველი მხატვრობა ივანე ოქრობირისა, რომლის საფასოდაც არქეოლოგიის საზოგადოებამ რამოდენᲯᲔრმე ათასი თუმანი აძლია. ამასთან დაიწვა ერთი წყვილი ქართული, ძველებური ძვირფასი ხმლი... თვით თ. მაღალაშვილი ამ ჟამად პᲔტერბურგშიმყოფება.

⁂ ეს სამი-ოთხი დღეა, რაც მიხეილის ხიდის მუშაობა დაამთავრეს და ცხენის რკინის გზის მიმოსვლა გაიხსნა.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა კოᲯრის საზოგადო გამგეობის და მამასახლისის არჩევანი ამ თვის შვიდისათვის დანიშნა.

⁂ გუშინდლიდგან სასანიტარო მზრუნველები შეუდგნენ ქალაქის დათვალიერებას. დღეს სასანიტარო მზრუნველებს დანიშნული აქვთ ქალაქის გამგეობაშ. კრება და უნდა მოიალაპარაკონ, რა ღონისძიება მოიხმარონ ქალაქის უზრუნველ-საყოფელად.

⁂ გუშინ პᲔტერბურგიდგან დეპეშით აუწყეს რკინის გზის მმართველობას: ბ-ნი გზათა მინისტრი შუამდგომლობს სახელმწიფო საბჭოს წინაშე, რომ რკინის გზაზედ მოსამსახურეთაც ᲔᲙრძალოს უფასო ბილეთებით სიარული რკინის გზებზედ, თუ რომ სამსახურისა გამო არ არის საფრთხე.

⁂ რადგანაც ავტალისა, სასახლისა, რიყისა და მიხეილის ქუჩების (ძეგლიდგან რეალურ სასწავლებამდე) ქვის მოსაფენად ყოველს წელს ქალაქის გამგეობა დიდს ფულსა ᲮᲐᲠᲯავს, ამის გამო გამგეობას განუზრახავს ეს ქუჩები ქუთათურის ქვით მოჰფინოს, როგორც ამ ჟამად კუკიის ხიდს აკეთებენ.

⁂ ჩვენის ქალაქის გამგეობა თავისს ანგარიშში შესცდა. შეუუდგა თუ არა კუკიის ხიდის შეკეთებას და ქუთათურის ქვით დაფენას, მაშინვე აუკრძალა ეტლებს ხიდზედ სიარული, რომ ეტლებს ვერის ხიდზედ ევლოთ და ამ შემოსავლიდგან ამოეგოთ ის ᲮᲐᲯი, რაც კუკიის ხიდის შეკეთებას მოუნდება. ვერის ხიდი ამ წელს შეაკეთეს და ხუთის წლის განმავლობამდე შეკეთება არ უნდოდა, მაგრამ რადგანაც ამ ხიდზე ამ ჟამად დიდი მოძრაობაა ეტლებისა, ხიდის ფიცრები გასქ

და ამ ხიდს ეხლავე შეკეთება უნდა. ასევე დასქაა ფიცრები ავლაბრისა, მეტეხის და მნაცაკანოვის ხიდებისა და წყალში სკვივა. ამ სახით ქალაქის გამგეობა ამ ახლო ხანში უნდა შეუდგეს ოთხის ხიდის შეკეთებას.

⁂ ტფილისის პოლიციმეისტერმა გუშინ შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ კვირას, ივლისის 31-ს, როდესაც თ. მაღალაშვილის სახლს ცეცხლი გაუჩნდა, ცეცხლის ჩამქრობმა რაზმმა ახლო-მახლო ვერსად იშოვნა მილის წყალი, რის გამოც ცეცხლის მქრობელი რაზმი რამდენსამე ხანს უსაქმოდ იდგა და ელოდა სანამ მტკვრიდგან მიაშველებდნენ წყალსაო. იქავე მტკვრიდგან წყლის ამოღება შეუძლებელი იყო და შორიდგან წყლის მოტანას ვერ

მაგრამ იმისი საქმე ისე ვერ მოეწყო, როგორც თითონ ჰფიქრობდა, რის გამოც, ერთის წლის ნაცვლად სამს წელიწადს დარჩა რუსეთს. მე სწორედ თხუთმეტის წლისა ვიყავი მაშინ, მაგრამ ოცის წლისას ვჰგავდი. სახე გაბადრული მთვარეს მიმიგავდა, მაყვალოვით შავი თვალები მღელვარე ზღვა ეგონებოდა ადამიანს და ჩემს ტანადობას ხომ, ყოველი ქალი შურით შეჰყურებდა. იმ დროს ჩემი ქალბატონი სულ სხვა რიგად მეᲪᲘᲝდა: ყოველთვის გვერდით მომისომდა ხოლმე, როცა დახურულ ეტლით სასეირნოდ წაბრძანდებოდა.

ერთხელ მახსოვს დამიძახა ქალბატონმა და სიხარულით მითხრა: „ანიკო, შენ დიდი ბედნიერება მოგელის ᲯᲔ ᲨᲔᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ეს ამბავი ისე სასიამოვნოა ჩემთვის, თუ გინდ შენხელა ქალი შვილი მყავდეს და ის ბედნიერდებოდეს. დღეს დილით რომ გენერალი იყო ჩვენთან, რომელიც ისედაც ხშირი სტუმარია ჩვენი, ისან მთხოვა შენი თავი, ძალიან მოსწონხარ და ᲮᲣᲠᲗ (ᲘᲚᲝᲚᲐᲓ შეგიბოთოს. ვინ იცის, რამდენი ქალი ეტრფის მაგის შეძლებას, მაგრამ იმას შენს მეტი ცოლი არ უნდა. შენ ჩემი გაზრდილი ხარ და, მაშასადამე ნებაც მქონდა, რომ ამ ულირსს ბედნიერებაზე სრული თანხმობა მეთქვა... რასაკვირველია, არც შენ ᲘᲢᲧᲕᲐ უარსაო“.

ამ ამბავმა ისე კარგად ვერ იმოქმედა ჩემზე, როგორც ჩემი ქალბატონი მოელოდა. ახალგაზრდა ქალს სიყვარული მწადდა, ახალგაზდა ქმარი და არა მოხუცი გენერალი, თავისის სიმდიდრით, მაგრამ ქალბატონის რჩევამ და განცხრომა-ფუფუნებით ცხოვრების მოლოდინმა დამძლია. ერთის კვირის შემდეგ ᲯᲐრი დავიწერეთ. პირველი და შეუნდობელი დანაშული ის იყო ჩემგან, რომ ყოველად კეთილი, პატიოსანი და ჩემის სურვილის მონა-მორჩილი ქმარი არ მიყვარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ხნიერი იყო. არ მიყვარდა და იმავე დროს მისის სიმდიდრით ესარგებლობდი ᲯᲔ ჩემს ნებაზე ვატრიალებდი ყველაფერს, როგორც მოსალოდნელია ალვირ-ᲭᲐᲮᲚᲘᲜᲘᲡ ცოლისაგან.

ჩემმა გამზრდელმა, ბევრᲯᲔᲚ დამარიგა და ამიხსნა ცოლ-ქმრის მოვალეობა, მაგრამ არ შევისმინე. ჩემი პასუხი ყოველთვის ის იყო, რომ მოხუცი ქმარი მყავს და სხვით რითი გავერთოო, თუ არა ყოველ დღე სხვადა-სხვა ტანისამოსით და უზომო ფულების ფლანგვით-მეთქი.

ერთის წლის შემდეგ, ჩემი ქმარი მძიმე ავად შეიქმნა ქარებით და ექიმებმა ურჩიეს სამკურნალო წყალზე წასვლა, სწორედ ჩემს სამშობლო ქვეყანაში. ჩამოვედით, დავიქირავეთ მშვენიერი სახლი ᲯᲔ მოვეწყვეთ მდიდრულად. ჩემი ქმარი ექიმების დარიგებისამებრ იქცეოდა, მაგრამ სენი მაინც უარესად გაუძლიერდა და ნახევარის წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ახალგაზრდასა და ლამაზს ქვრივს ბევრი თაყვანის მცემელი მყავდა და, რასაკვირველია, თუ ყველას არა, რამდენსამეს მაინც თანავუგრძნობდი. უმეტესად სამხედრო სამსახურში მყოფნი დადიოდნენ ჩემთან და ყოველდღე მოლხენა იყო ჩემს სახლში. ერთხელ ჩემი მსახური შემოვიდა და მომახსენა, რომ, ვიღაც გლეხია ძონძებში გახვეული, ისე მითხრა შენი ქალბატონის მამა ვარო და თქვენი ნახვა უნდაო. საშინლად გამბარაზა მამაჩემის ამგვარმა კადნიერებამ, წამოვხტი, გავედი სამზარეულოში და იმის ნაცვლად, რომ იმდენის ხნის უნახავს მამას გულში ჩავკოდი, შესვლისათანავე მრისხანედ დავუყვირე: „დიდი სიბრიყვეა შენის მხრით, რომ მაგრ თავ-აღებული მოდიხარ ჩემს სახლში და იძახი ქალბატონის მამა ვარო. შენთვის სასახელოა, რომ ჩემისთანა შვილი გყავს, მაგრამ ჩემთვის-კი დიდი შერცხვენაა შენისთანა მამის გამოჩენა ჩემს ძვირფასს სტუმართან. საიდანაც მოსულხარ, იქითკენვე წადი!..

— შვილო ანიკო, რას უᲯავრდები შენს მოხუცებულს მამას, შენი შეხედვა ჩემთვის სასუფეველია და ამიტომ მოვედი. მამა ვარ შვილო შენი, და რათ გრცხვენი ჩემი გამოჩენა. კი არასა გთხოვ ოღონდ შემახედვე შენის მშვენიერის სახისათვის, ჩემო ანგელოზო. მეუბნებოდა ცრემლ-მორეული მამა... მაგრამ ჩემი გული, მამის ალერსისნმა ვედრებამ ვერ მოალბო და კიდე უფრო გაცხარებით დავუყვირე:

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, მე შენთვის არა მცალიან სტუმრები მყავს. ეუთხარი ესა და გავბრუნდი, მაგრამ მეორე ოთახიდგან გავიგონე მამიჩემის სიტყვები:

„ვაი ჩემი ბრალი, რა დღეს მოვესწარი! დედა მაგისი სულთ-მობრძავია, მაგის ნახვა ენატრება და ეგ-კი არა გვკადრულობს. გვეგონა ხელმწიფის ტოლი კაცის ცოლია და შეგვეწევა ღარიბ დედ-მამას-მეთქი, მაგრამ სადაა! თავისს სამშობლოს რომ ქალი მოშორდება, იმას ყველაზე გაუგრილდება გული! ეჰ! მადლობა ღმერთს. ჩაილაპარაკა მამიჩემმა, აიღო თავისი ᲮᲝᲠი, ტომარა მხარზე გადაიგდო და წავიდა... ჩუმად ფანᲯარის ფარდა ავსწიე და დავინახე, რომ ცრემლებს ახ.ლუხის კალთით იწმენდდა. მე შევედი ჩემს სტუმრებთან, მივუᲯᲔქი ფორტოპიანოს და დავუკარი...

ჩემი სახლი მუდამ სავსე იყო ყმაწვილის კაცებით. მრავალ მოტრფიალეთა შორის, ერთი ახალგაზდა მხედარი შემიყვარდა... ეს ახალგაზდა მხედარი ისე დავიახლოვე, რომ ყოველ დღე ერთად ვიყავით, მაგრამ, რადგან სხვა სტუმრები ხელს გვიშლიდენ, რომ მარტო დავრჩენილიყავით, ამიტომ ყოველ ექვს საათზე ვუბრძანებდი ხოლმე, დახურული ეტლი შეებათ და ქალაქს გარეგ მივდიოდი, დანიშნულს ალაგს, ჩემისმეგობრის სანახავად.

ჩემი ცხოვრება ასე მიმდინარეობდა ერთის წლის განმავლობაში; ბოლოს შევნიშნე, რომ ჩემი სატრფო გაგულგრილდა, ადარც ჩემთან მოდიოდა ჩვეულებრივ ხშირად და, დანიშნულს ალაგსაც აღარ დამიხვდებოდა ხოლმე. თუმცა ის ათას გვარ მიზეზს იგონებდა, მეფიცებოდა როგორც ერთი მშვიდი და თავაზიანი კაცი, ხალხისაგან შეთვისებული, რომლისაგანაც ერთი უბრალო წყენაც-კი არავის ახსოვს. 4—5 წელიწადი იგი მსახურებდა თავად-აზნაურთა აღრჩევით მარშლის თანაშემწედ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ გაზეთ „Нов. Обоз.“-ს, ამ ცოტა ხანში ერთმა უჩვეულებრივო ამბავმა გაგვაოცაო. წარსულ შაბათს ებრაელმა ხუთუნა ენუკაშვილმა რევოლვერი ესროლა სახეში თავის ისევე სარწმუნოების კაცს მ. ციციშვილს, როდესაც ის თორაში მიდიოდა. ᲯᲔრ არავინ იცის რამ აიძულა ეს მშვიდობიანობის მოყვარულ ერის წარმომადგენელი და სიკვდილზედ მეტად ცეცხლისა და სისხლის მოშიშარი, რომ იარაღი აეღო ხელში. თვით ებრაელნი დასდასობას აბრალებენ ამ შემთხვევას. ამ ორ დასთა შორის ერთი ძველის რაბინის მომხრეა და მეორე ახალისა, რომელმაც შარშან არჩევანებზედ აᲯობა თავის მეტოქეს. დაᲭრილი ძველს რაბინის მომხრე დასს ეკუთვნის და დამნაშავე ახალის რაბინისას.

⁂ ნიგოითი. ნიგოითში ერთი ავადმყოფობაა, რომელმაც პატარა ბავშვებზედ დიდად გაიმარᲯვა. ავადმყოფს გამოჰყრის ხოლმე წითლათ მთელს ტანზედ, გაუსივდება ყურის ძირები და კისერი; სუნთქვას შეუკრავს და ნერწყვის ყლაპვას უშლის. ასე მწუხარებით გაატარებს ხოლმე ოთხ-ხუთს დღეს და მერე ესლმება წუთის—სოფელს. საწყალი იმათი მშობლები ეხვეწებიან ადგილობრივ მამასახლისს, შეატყობინე მაზრის ექიმს, მან რაიმე ღონის ძიება იხმაროს ამ სენის წინააღმდეგო, მაგრამ დღემდე არავინ არა ჩანს, არც ექიმი და არც ფერშალი.

თავისს სიმართლეს, მაგრამ მე მაინც ეᲫვი შემეპარა, რომ მას სხვა უნდა შეჰყვარებოდა.

საღამოს ყოველ ექვს საათზე, მიჰქროდა ჩემი ეტლი, ფართოდ გადაშლილს ქᲣᲩᲔᲑზე და მე ყელ-მოღერილი ისე ამაყად გადმოვიყურებოდი ძვირფასის ეტლიდგან, თითქო მინდოდა მეთქვა: „მე თუ არა, ᲭᲕᲐ ქვაზედაც ნუღარ იქნებაო“. დიაღ, ასეთი ამაყი ვიყავი, რომ ყურადღებას არაფერს ვაქცევდი... მაგრამ ერთი ათის წლის კუზიანი ბავშვი, ყოველთვის მიიქცევდა ხოლმე ჩემს ყურადღებას, თუმცა იმის დანახვა ᲪᲘრიᲜᲘᲗ მეᲯავრებოდა. იშვიათად მახსოვს ისე წავსულიყო სასეირნოდ, რომ ის კუზიანი ბავშვი, ჩანთა გადაკიდებული, წინ არ შემომხვედროდეს. ისე მეᲯავრებოდა, ის ბავშვი, რომ მის დანახვაზე გული საშინელის გესლით ამევსებოდა, მზად ვიყავ მივვარდნოდი და კბილით დამეგლეᲯᲐ. რასთვის? რას მიშავებდა ეს საწყალი ბავშვი,— მეც არ ვიცოდი; თითონ-კი, დაინახავდა თუ არა ჩემს გაკანტიელ ეტლს, შესდგებოდა და ალერსიანის თვალებით მომაჩერდებოდა. ღმერთო, რა საზიზღარი ვარ! განა ქვეყნად არის სადმე ჩემისთანა ბოროტი დედაკაცი? ᲭᲘთითნით ამბობდა მონაზონი.

— განაგრძე, განაგრძე. უთხრა ეპისკოპოსმა და მღვდელ-მთავრის სათნო სახე უფროდ და უფრო იღრუბლებოდა.

— ერთს საღამოს ჩვეულებრივად ქალაქს გარეგ მივდიოდი როგორც-კი მივუ-ახლოვდი დიდრონის ხეებით

უფრო შეძლებულებს მოჰყავთ კერძო ფერშლები უადგილოდ დარჩენილები, მაგრამ იმით ვერა გაკეთეს-რა.

∴ ივლისის 31 არსენალის ეუჩაზე პოლიციელმა კონდრატენკომ შეიპყრო დავით ივანეს ძე გვარიძე, რომელსაც ვილაცასგან ხალჩა მოუპარა და მიჰქონდა.

∴ ამავ დღეს სამღებრო ეუჩაზე იპოვნეს მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

∴ 30 ივლისს აბაშის მცხოვრებელი პავლე გაბაევ 15 წლისა თავის გაუფრთხილებლობით ცხენის რკინის გზის ვაგონს ქვეშ მოჰყვა და მსუბუქად დაშავდა დაშვებული სამკურნალოში გაგზავნეს.

დამაკვირდი

ადამიანთა უმრავლესობა უფრო სწორად უსამართლოდ იქცევა, თუ კეთილგება ხელს უწყობს.

არისტოტელი

**

რაც ჩქარა ცხოვდება, ის ჩქარავე ეჭარგება სათბილ; რაც უფრო ნელ ნელ ითვისებს სათბილ, რაგანად მსოფლიო ის გახურდება ხოლმე. ადამიანიც ისეა: ვინც უფრად გაგიხდებით მსურველ მეგობარი, ის უფბადეე გაგიგეფლრიდებეთ

რუსკერტი

**

მოკრის სანოლით მხოლოდ ერთად ერთი ბორბლა დედ-კაცი სტკებაა და ეკელს. კი ეჭონა, რომ „ის დედ-კაცი მე მეკეს ცოლდა“.

ლესსინგი

სასამართლოს მატიანე

21 ივლისს გაასამართლეს ლიონში საფრანგეთის პრეზიდენტის კარნოს მკვლელი ანარხისტი კაზერიო.

მეათე საათი იქნებოდა, როცა კაზერიო შემოიყვანეს სამსჯავროში; ამ დროს ზალაში მოძრაობა შეიქნა. კარნოს მკვლელი ფერ-მკრთალი, ტანხმელი ჭაბუკია; თმა მოკლედ აქვს გაკრეპილი და პირის სახე მოგრძო. სასამართლოს კართან ბრალდებულს ბორკილებს ხსნიან ფეხებიდან. იგი დაწყნარებულად შემოდის, თითქოს მორცხვობსო; ძლივს იღიმებს, ირგვლივ მიმოიხედავს და ხელით სალამს აძლევს თავის დამცველს, რომელიც სამსჯავროამ დაუნიშნა მას.

შემდეგ ხანგრძლივის მოლაპარაკებისა მილანელმა ადვოკატმა პოდრეირამ არ ისურვა კაზერიოს დაცვა, ადვოკატს უნდოდა დაკმტკიცებინა, რომ კაზერიოს სიგიჟე და ბნედა შთამომავლობით მოდგამს—და იმიტომ იგი, როგორც სრულს მეხსიერებაში მყოფი ადამიანი ისე არ უნდა გასამართლდესო. მაგრამ ბრალდებულმა პირდაპირი უარი განაცხადა ამ გვარ აზრზედ და სთქვა, რომ მე სამსჯავროში სულ წინაღმდეგს ვილაპარაკებო. ფორმალური წესების შესრულების შემდეგ მდივანი კითხულობს ბრალდებით ოქმს, რომელშიც აწერილია პრეზიდენტის კარნოს მოკვლა ლიონში.

ბრალდებულის ჩვენება

თავმჯდომარე. თქვენ გქვიათ კაზერიო სანტო ჯერონიმ, დაიბადეთ მილანის მახლობლად 8 სექტემბერს, 1873 წელს. მამა თქვენი მენავე იყო, 7 შვილში თქვენ მეორე იყავით. ზოგი თქვენი ძმები და დები დღესაც თქვენს სამშობლო ქალაქში სცხოვრობენ, სხვები-კი მილანში არიან დედა თქვენთან, რომელიც დაქვრივდა. თქვენი სიყმაწვილე სრულიად ისეთი არ იყო, რომ გვეფიქრა, თქვენ ისეთი კაცი გამოხვიდოდით, როგორიც ასე მარდად მიჰქროდა ჩემი ეტლი რომ კაცს ეგონებოდა ცხენები მიწას არ აკარებენ ფეხებს, ჰაერში მიფრინავენო. არ ვიცი, როგორ მოულოდნელად მოხდა, რომ გადახტომა ვერ მოასწრო და ჩემი გაქანებული ეტლი სწორედ იმ კუზიანს ბავშვს დაეტაკა, რომლის შეხედვამ, უსიამოვნო შემოხვევის ეტვი აღმძრა და სახლისაკენ გამომაბრუნა. დაეტაკა და საბრალო ბავშვს იქავე სული გაეცხებინა. ქუჩაზედ დიდ-ძალი ხალხი შეიყარა, ჩემი მეეტლე პოლიციელმა შეიპყრო; მე საშინლად შეწუხებული დავყურებდი სისხლში ამოსვრილს ყმაწვილის სახეს, რომელსაც ოქროს ფერი თმა გულ-საკლავად გადმოსწოწოდა ფართოდ გადაშლილს შუბლზე და თავიდგან სისხლი გადმოსდიოდა. ბავშვი აიღეს, რასაკვირველია, მკვდარი, ეტლის ბორბლებს ცალი მკლავი მოეწყვიტა და გულის ფიცარიც, მარცხენა მხარეს სულ დაჩეჩქვილი ჰქონდა. არ ვიცი, რამდენმა წამმა გაიარა ასე, ხოლო ეს-კი ცხადად მახსოვს, რომ ღარიბად ჩაცმული საბრალო დედა გულ-მკერდის წიწკნით მივარდა მკვდარ შვილს და თავ-განწირულის ხმით ჩასძახოდა... იგლეჯდა ლოყებს და ხან ერთს ქვას ასკდებოდა და, ხან მეორეს. მამა-კი, რომელსაც ეტყობოდა ხელოსანი უნდა ყოფილიყო, მორბოდა წინ საფარ აფარებული და მწარედ მოღრიალებდა. ეს-ღა მახსოვს,მე თურმე გული წამსვლოდა, ვიღაც უცნობებს მიეყვანე სახლში, სადაც მეორე დილამდე, ენა ჩავარდნილი უძრავად ვეგდეხლა ხართ. თქვენ გიცნობდენ შრომის მოყვარედ, პატიოსან კაცად და კარგს ამხანაგად, მაგრამ თქვენ იყავით დიდ-გული და მცირე რასმეზედ აეშლებოდით ხოლმე ყველას.

დამნაშავე. მე არასოდეს არავის არ ავშლივარ.

თავმჯდ. რაიცა შეეხება თქვენს ზნეობას, იგი არაფრით არ განირჩეოდა სხვა ახალგაზდა კაცების ზნეობისაგან. წინად გიცნობდნენ ისეთს კაცად, რომელსაც ქალების მძულვარება ჰქონდა. თქვენი ჯანმრთელობა ამ რაოდენიმე თვის წინად სრულიად არღვევს იმ აზრს, ვითომ თქვენ ქალების მოძულარი იყოთ. აგრეთვე იმასაც ამბობენ, რომ არაფერი მოგეთხოვებათ.

დამნაშავე. (მკვირცხლად) მე ყოველივე მომეთხოვება!

თავმჯდ. თქვენ არასოდეს არ ყოფილხართ ავად?

დამნაშავე. არასოდეს თექვსმეტი წლიდამ.

თავმჯდ. ამბობენ, რომ ერთი თქვენი ბიძა გიჟი იყო.

დამნაშავე. მე ორი ბიძა მყავს და არც ერთი გიჟი არ არის.

თავმჯდ. თქვენს მამას მოსდიოდა ხოლმე ბნედა?

დამნაშავე. ეს იმ დროს იყო, როდესაც მისი ძმა ავსტრიელებმა ტყვედ წაიყვანეს; ამან გამოიწვია მამიჩემის ავადმყოფობა, მაგრამ ეკუუზე შემცდარი არასოდეს არ ყოფილა და ყოველთვის მუშაობდა.

თავმჯდ. ბ-ნ პოდრეიდერს, რომელიც თქვენი დამცველი უნდა ყოფილიყო ამ საქმეში, ჰსურდა შეემოწმებინა სულიერად რა ყოფაში ყოფილან თქვენი დედა და თქვენი სახლობის რამდენიმე წევრი, მაგრამ თქვენ ამის შესახებ გადაწერით განცხადეთ უარი, თან დასძინეთ, რომ

ადამიანთა უმრავლესობა უფრო სწორად უსამართლოდ იქცევა, თუ კეთილგება ხელს უწყობს.

არისტოტელი

**

რაც ჩქარა ცხოვდება, ის ჩქარავე ეჭარგება სათბილ; რაც უფრო ნელ ნელ ითვისებს სათბილ, რაგანად მსოფლიო ის გახურდება ხოლმე. ადამიანიც ისეა: ვინც უფრად გაგიხდებით მსურველ მეგობარი, ის უფბადეე გაგიგეფლრიდებეთ

რუსკერტი

**

მოკრის სანოლით მხოლოდ ერთად ერთი ბორბლა დედ-კაცი სტკებაა და ეკელს. კი ეჭონა, რომ „ის დედ-კაცი მე მეკეს ცოლდა“.

ლესსინგი

სასამართლოს მატიანე

21 ივლისს გაასამართლეს ლიონში საფრანგეთის პრეზიდენტის კარნოს მკვლელი ანარხისტი კაზერიო.

ადამიანთა უმრავლესობა უფრო სწორად უსამართლოდ იქცევა, თუ კეთილგება ხელს უწყობს.

არისტოტელი

**

რაც ჩქარა ცხოვდება, ის ჩქარავე ეჭარგება სათბილ; რაც უფრო ნელ ნელ ითვისებს სათბილ, რაგანად მსოფლიო ის გახურდება ხოლმე. ადამიანიც ისეა: ვინც უფრად გაგიხდებით მსურველ მეგობარი, ის უფბადეე გაგიგეფლრიდებეთ

რუსკერტი

**

მოკრის სანოლით მხოლოდ ერთად ერთი ბორბლა დედ-კაცი სტკებაა და ეკელს. კი ეჭონა, რომ „ის დედ-კაცი მე მეკეს ცოლდა“.

ლესსინგი

სასამართლოს მატიანე

21 ივლისს გაასამართლეს ლიონში საფრანგეთის პრეზიდენტის კარნოს მკვლელი ანარხისტი კაზერიო.

დაბურულს ტყეს, დავინახე, რომ ჩემი საყვარელი მკლავი-მკლავს გაყრილი მიჰყვება ვიღაც ლამაზ ქალს და მღიმარე სახით ელაპარაკებ სწორედ იმ გვარის მიმოხვრით, როგორც რამდენისამე ხნის წინად მე ჩამცქეროდა აღგზნებულის თვალებით და სამუდამო სიყვარულს მეფიცებოდა.

თავზარდამეცა, ძლივს-ძლიობით წამოვიღელვლუდე, რომ მეეტლეს შინისაკენ მოებრუნებინა ცხენები. ეტვი არ იყო, ჩემი მეეტლეც მიხვდა ჩემის შეწუხების მიზეზს, რადგან, ესაიდუმლო მან კარგად იცოდა და საჩქაროდ გამოაბრუნა ეტლი.

იმ დღიდგან ორს თვეს ძალიან ავად ვიყავი; საშინელი სისუსტე დამჩემდა, მასთან გულის ცემაც მომდიოდა ხოლმე, მაგრამ ჩემი მოღალატე მეგობრის აგდილი სხვამ დაიპყრა და ამ ახალმა სატრფომ ხელ-ახლად გამომაბრუნა. დავიწყე ჩემებურად ქალაქს გარეგ სიარული, რომ ახალის მეგობრის ნახვითა და აღერსით დავმტკბარვიყავი.

ერთს დღეს, კიდევ შემომხვდა ის კუზიანი ბავში და დამიწყო თავისებურად გაშტერებით მზერა. „შეგაჩვენოს ღმერთმა! მივაძახე—სწორედ შენს შეხვედრაზე რამე უსიამოვნება უნდა შემხვდეს. იმ დღესაც ასე იყო' შემხვდა ეს წყეული მახინჯი და ჩემი მეგობარი სხვა ქალთან-კი ვნახე. დღესაც არას უნდა მოველოდე კარგს, ამ კუზიანის შეხედვის შემდეგ. გავიფიქრე ესა და მეეტლეს ვუბრძანე, რომ სხვა ქუჩაზე გაეხვია.

ვამბობ იმიტომ, რომ დღეს მწუხრის ლოცვის დროს, როდესაც გულმოდგინედ ვლოცულობდი, ღმერთს ვმადლობდი, რომ ხვალ მეღირსება წმიდათა-თანა ზიარ-ყოფა მეთქი, სწორედ ამ ლოცვის დროს, როდესაც თვალები ეკკლესიის გუმბათს მივაპყარი, ცხადად დავინახე ჩემგან მკვდარი ბავშვი: ის იდგა ჰაერზე ფრთა შესხმული, მხარ-იღლიე გადაკიდებული ჰქონდა იგივე ჩანთა, რომელიც სიკვდილის დროს თანა ჰქონდა, თავისსავე ტოლს ფრთებიან ბავშვებს, რაღასაც ელაპარაკებოდა და თითით ჩემზე უჩვენებდა... ეს მოჩვენება არ იყო, ყოველად სამღვდელოვ, ცხადი იყო და ისიც გარკვევით დავინახე, რომ დამშვიდებულის სახით იდგა, გადისო შუბლზე ხელი და თითქო ჩემ შესახედავად, სწორედ იმ ადგილს გადაიწია თმა, სადაც სისხლი გადმოსდიოდა, შემდეგ გაჰქრა... მე დიდად აღშფოთებული დავბრუნდი სენაკში, ცოტათი ძალ-ღონე შემოვიკრიბე და ეს არის თქვენთან გიახელი, რომ ყოველივე დაწვრილებით მომეხსენებინა. მე ღირსი არა ვარ ქრისტეს ბეჭედის ტარებისა და ჩემი აღკვეცაც შეუძლებელია.

— არ გეტყვი, რომ შენი შეცოდება დიდი და მძიმე არ იყოს, მაგრამ ნუ გეშინია. მაგ გვარად მოქცევის შემდეგ, სრული იმედი უნდა გქონდეს, რომ ღმერთი მოგიტევებს ყოველსავე. თუ ღირსი არ იყო, ვერც დაინახავდი იმ ანგელოზ ბავშვს, რომელიც შენის სიძულვილისა და ცრუ მორწმუნეობის მსხვერპლი შეიქნა

და დღეს ანგელოზთა-თანა მძრახველად მოგეჩვენა. დამშვიდდი, ილოცე ღა ღმერთი მრავალ მოწყალეა. დარწმუნდი, უფალი ცოდვილისაგან ლოცვასა და სინანულს უფრო შეიწყნარებს, თუ ლოცვა გულის სიწმინდით ნათქვამი იქნება, ვიდრე უცოდველისას. სასოწარკვეთილება ღვთის უარყოფაა და, მაშასადამე, მოუტევებელი შეცოდებაც. შენ განემზადე ხვალისათვის, ღირსი ხარ და კიდევაც იკურთხები, არა მარტო ჩემგან, არამედ ყოველად უზენაესის მეუფისაგან. ანუგეშა ეპისკოპოსმა და ჯვარი გადასახა თავ-დახრილსა და ცრემლის მფრქვეველს მონანზონს.

მეორე დღეს ეკკლესია ხალხით იყო სავსე. ტრაპეზის ცალ მხარეს იდგა სადღესასწაულოდ შემოსილი მღვდელ-მთავარი რომელმაც სათნო, მომხიბვლელის ხმით ღაღადჰყო: „მოვედით ჩემდა ყოველნი ძაშრაალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ“.

სპეტაკ სამოსით მოსილი, წარმოსდგა მორჩილი მონაზონი და ოთხსავე მხარეს კრძალვით თაყვანისცა ტრაპეზს. ოდესმე ამაყსა, მაგრამ დღეს დამდაბლებულს თავს უმშვენებდა გაშლილი თმა. ეპისკოპოსი მიუახლოვდა, მაგრამ თმაზე მაკრატლის მიკარება ვერ მოასწრო, რომ მონაზონმა თვალები ეკკლესიის კამარას მიაჰყრო და საზარელის ხმით წამოიძახა: „აჰა, ხომ ხედავთ ხელს ჩემკენ აშვერს*?.. სთქვა ესა და გულ შეწუხებული იატაკზე დაეცა...

განდეგილი

ასე მარდად მიჰქროდა ჩემი ეტლი რომ კაცს ეგონებოდა ცხენები მიწას არ აკარებენ ფეხებს, ჰაერში მიფრინავენო. არ ვიცი, როგორ მოულოდნელად მოხდა, რომ გადახტომა ვერ მოასწრო და ჩემი გაქანებული ეტლი სწორედ იმ კუზიანს ბავშვს დაეტაკა, რომლის შეხედვამ, უსიამოვნო შემოხვევის ეტვი აღმძრა და სახლისაკენ გამომაბრუნა. დაეტაკა და საბრალო ბავშვს იქავე სული გაეცხებინა. ქუჩაზედ დიდ-ძალი ხალხი შეიყარა, ჩემი მეეტლე პოლიციელმა შეიპყრო; მე საშინლად შეწუხებული დავყურებდი სისხლში ამოსვრილს ყმაწვილის სახეს, რომელსაც ოქროს ფერი თმა გულ-საკლავად გადმოსწოწოდა ფართოდ გადაშლილს შუბლზე და თავიდგან სისხლი გადმოსდიოდა. ბავშვი აიღეს, რასაკვირველია, მკვდარი, ეტლის ბორბლებს ცალი მკლავი მოეწყვიტა და გულის ფიცარიც, მარცხენა მხარეს სულ დაჩეჩქვილი ჰქონდა. არ ვიცი, რამდენმა წამმა გაიარა ასე, ხოლო ეს-კი ცხადად მახსოვს, რომ ღარიბად ჩაცმული საბრალო დედა გულ-მკერდის წიწკნით მივარდა მკვდარ შვილს და თავ-განწირულის ხმით ჩასძახოდა... იგლეჯდა ლოყებს და ხან ერთს ქვას ასკდებოდა და, ხან მეორეს. მამა-კი, რომელსაც ეტყობოდა ხელოსანი უნდა ყოფილიყო, მორბოდა წინ საფარ აფარებული და მწარედ მოღრიალებდა. ეს-ღა მახსოვს,მე თურმე გული წამსვლოდა, ვიღაც უცნობებს მიეყვანე სახლში, სადაც მეორე დილამდე, ენა ჩავარდნილი უძრავად ვეგდეხლა ხართ. თქვენ გიცნობდენ შრომის მოყვარედ, პატიოსან კაცად და კარგს ამხანაგად, მაგრამ თქვენ იყავით დიდ-გული და მცირე რასმეზედ აეშლებოდით ხოლმე ყველას.

დამნაშავე. დიაღ, მართალია.

თავმჯ. თქვენ ცუდად გისწავლიათ შეგირდობის დროს, სკოლაში წესი ერად არ გიგლეიათ და არც ერთხელ ჯილდო არ მიგიღიათ.

დამნაშავე. ძალიან ვწუხვარ. განათლება რომ მომეღო, მაშინ უფრო ღონიერი ვიქნებოდი, ვიდრე ახლა ვარ.

თავმჯ. რას იზამდით მაშინ?

დამნაშავე. განათლებას ჩემს დედა აზრს მოვახმარებდი.

თავმჯდ. ათის წლისა თქვენ მონტე-ვისკონტში მგალობლად ყოფილხართ; დედა თქვენი ცხვრის ტყავს ჩაგაცმევდათ თურმე და თქვენ წარმოდგენების დროს ოიოვნე ნათლისმცემლის როლს ასრულებდით.

დამნაშავე. ბავშვებმა არ იცინა რა ქმნან და ხშირად სისულელეს ჩაიდენენ ხოლმე.

თავმჯდომარე შეუდგა კაზერიოს უკანასკნელ წლების ცხოვრების აღნიშვნას, როდესაც იგი ანარხისტად გახდა; ეს იყო 1891 წ. დამნაშავემ აღიარა, რომ ანარხისტთა ყოველს კრებაში მონაწილეობას ვიღებდი და იქ ვკითხულობდი საანარხისტო ლიტერატურის ნაწარმოებსაო. როდესაც თავმჯდომარემ ჰკითხა, იცნობდით თუ არა მილანში ანარხისტებს მაძინისა და კაპუჩიოს, კაზერიომ უპასუხა, რომ მაგას ვერ გეტყვით, რადგანაც პოლიციის მოხელის თანამდებობას არ ვასრულებო. შემდეგ ამისა კაზერიოს ბევრი შეეკითხა კიდევ თავმჯდომარე, რომ შეეტყო, რა დამოკიდებულება ჰქონია ანარხისტებთან. დამნაშავე ნიადაგ იმას იმეორებდა, რომ მე ანარხისტი ვარო, მაგრამ სხვა-თა შესახებ რისამის თქმას-კი ძალიან ერიდებოდა. როდესაც თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კაზერიო ვილერბანში ანარხისტთა კრებას ესწრებოდა ხოლმეო, დამნაშავემ უპასუხა: „რასაკვირველია, აბა უბრალო მეპურეს საზოგადოებაში ხომ არ შეესვლებოდაო“. ამ გვარივე პასუხი გასცა თავმჯდომარეს, როდესაც ამ უკანასკნელმა სთქვა, რომ კაზერიოს ანარხისტებთან სტატაშიაც ჰქონდა კავშირიო. (დამნაშავის დაწყნარებულმა ლაპარაკმა იმის შესახებ, თუ როგორ მოკლა პრეზიდენტი, საშინლად იმოქმედა; დარბაზში მყოფი ხალხი მღელვარებდა და ხმაურობდა).

ჩვენების ჩამორთმევა გათავდა იმითი, რომ თავმჯდომარემ დამნაშავეს ჰკითხა:

— გაკვადთ, თუ არა თქვენ თანამოზიარენი? (ხალხი მოძრაობაში მოვიდა). გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა ისინი, მაგრამ ბევრი მიზეზი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თანამოზიარენი გყოლიათ. ამასთან აშკარად სჩანს, რომ თქვენ იმათი დასახელება არა გსურთ. როდესაც იმათ შესახებ ჩამოგიგდებთ ხოლმე ლაპარაკს, არას ამბობთ. უკანასკნელად გეკითხებით: ლიონში იმიტომ წახველით განა, რომ შეთქმულობა გქონდათ?

დამნაშავე. არა, შეთქმულობა არა მქონია-რა, ჩემის საკუთარის სურვილით წავედი.

თავმჯდ. განსვენებულმა კარნომ არ ინება რავაშოლისა, ვალიანისა და ანრის სასჯელის პატიება. ამ დროიდგან იმასა, იმის მეუღლეს და იმის შვილებს არ ასვენებდნენ და სულ ემუქრებოდნენ (ხალხში მეეჭვარბაა). 6-ს თებერვალს 1894 წ. მოუვიდა პრეზიდენტს წერილი, რომელიც, როგორც სჩანდა, ლონდონიდგან იყო

გამოგზავნილი, და მელნით-კი არა,— სისხლით იყო დაწერილი და რომლითაც კარნოს ემუქრებოდნენ, რომ შენის აღსასრულის დღე მოახლოებულია. თქვენ ხომ არა ხართ ამ ლონდონელის ანარხისტების ნების აღმასრულებელი? რაც უნდა სთქვათ —ეს-კი აშკარაა, რომ მეთაური გყოლიათ.

დამნაშავე. მე მეთაური არა მყოლია, მე სრულიად დამოუკიდებლად ვმოქმედებდი.

თავმჯდ. კარნოს მოკვლის მეორე დღეს მისს ქვრივს მოუვიდა ანარის ფოტოგრაფიული სურათი, რომლის მეორე გვერდზედ ეწერა: „ანარის სამგიერო შესაფერად გაზღვევინეთ“. ნუ თუ განაცხადებთ, რომ ამ წერილის დამწერნი თქვენი თანამონაწილენი და მოაზრენი არ არიან.

დამნაშავე. მე განსაცხადებელი არა მაქვს-რა.

თავმჯდ. რა უფლებით ჩაიდინეთ მკვლელობა? კაცობრიობის კანონით მკვლელობა აღკრძალულია. რა უფლებით იკისრეთ თქვენს თავზედ მსაჯულისა, ბრალმდებელისა და ჯალათის მოვალეობა?

დამნაშავე. მკვლელობის აღკრძალვა განა უშლის ხელს მთავრობას, რომ აუარებელი ხალხი ჭლიტოს.

თავმჯდ. ოცის წლისა ხართ?

დამნაშავე. დიახ, ეს ის ასაკია, როდესაც სამხედრო წოდების ხალხს მომძმეთა დასახოცად ჰგზავნიან.

თავმჯდ. თქვენ მოჰკალით მამა ოჯახისა და სამგალითო მეუღლე! დაჯექით თქვენი ჩვენება გათავებულია.

მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა.

პირველად ალაპარაკეს პოლიციის მოხელე კუზენი, რომელსაც კაზერიო მიჰკვავრეს დანაშაულის ჩადენის შემდეგ. კაზერიოს დაპატიმრების დროს ამირიკელი „კასტეტი“ *) უნახეს. კაზერიოსთვის ტანსაცმელი ხალხს შემოეგლიჯა. თავითონ დამშვიდებული იყო და სინანული სულ არ ემჩნეოდა.

პოლიციის მოხელეთ, რომელთაც კაზერიო დაუპატიმრეს, არაფერი ახალი არ უთქვამთ. კოლომბანმა სთქვა, რომ, როდესაც კაზერიომ მკვლელობა ჩაიდინა, დაიძახა „გაუმარჯოს ანარხიას“ და როდესაც დაპატიმრეს, იტალიანურად სთქვა! „ეხლი თუნდა თავი მომკვრან, ჩემთვის სულ ერთიაო“ (ხალხში მდელვარებაა).

ლეონის გენერალ-გუბერნატორმა ვუზენმა, რომელიც კარნოსთან ერთად იჯდა ეტლში, სთქვა, რომ კარნო აღტაცებული იყო ხალხის ჩაოდენობით და იმ გარემოებით, რომ ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. უცრად თვალი მოვკარი ერთს კაცს, რომელიც ჩვენს ეტლს უახლოვდებოდა და ხელში რადაცა თეთრი ეჭირა. ვიფიქრე, რომ ის ან თაიგული იქმნება, ან არზა-მეთქი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, იმის მაგიერ, რომ ეტლში გადმოეგდო, იმან ის თეთრი ნივთი გულში ჩაჰკრა პრეზიდენტს. პრეზიდენტმა შეჰყვირა, გულზედ ხელი წაივლო და გული წაუვიდა“. მოწმემ გამოაცხადა, რომ მკვლელს ვერ ვიცნობ, რადგანაც მხოლოდ თვალი მოვჭაკი და კარგად არ დამინახავსო. პრეზიდენტის შტაბის უფროსმა გენერალმა ბორიუსმა სთქვა, პრეზიდენტს მოკვლის დროს მე მეორე მხარეს ვიყურებოდიო. უეცრად მომესმა რაღაცა ხმა, თითქოს მუშტი დაჭრეს ვიღაცასაო, და კარნოს მიერ თქმული: „დაჭრესო“. ამის შემდეგ პრეზიდენტს გული წაუვიდა. მკვლელი მე არ დამინახავსო. რავაშოლის, ვალინის და ანრის დასჯის შემდეგ თითქმის ყოველ დღე მოგვდიოდა ელისეს სასახლეშ მუქარის წერილები, საზღვარ-გარეთიდგანაც-კი მოვიდა რამდენიმე წერილი. ყოველ ანარხისტის დასჯის წინა დღეს პრეზიდენტს სწერდნენ, რომ თუ დამნაშავეს არ შეიწყნარებ, სასტიკად გარდგიხდით შენცა და შენს ცოლ-შვილსაცაო. კარნოს ეტლს სამი ელისეს სასახლეს პოლიციის მოხელე მისდევდა: ლიონის პოლიციის მოხელენი-კი, აქეთ-იქით უდგნენ. თვით კარნომ უბრძანა ცხენოსან აფიცრებს, რომელნიც გვერდებზედ მოსდევდნენ ეტლს, უკან დაწეული ყვნენ, რომ ხალხს შესძლებოდა მისი დანახვა. ეს განკარგულება გარდასცა გენერალმა ბორიუსმა. ეს ჩვენება დასაბუთა ორმა ჯარის-კაცმა, რომელნიც პრეზიდენტის ეტლის აქეთ-იქით მდგარიყვნენ. ამათვე განაცხადეს, რომ ვიცანით კაზერიო, მაგრამ იმის ხელში მახვილი არ დაგვინახავს, რაღაცა თეთრი ქაღალდი ეჭირაო; გარდა ამისა ყველამ აღიარა, რომ ბოროტ-მოქმედება კაზერიომ სანინელის სისწრაფით ჩაიდინაო.

რონის დეპარტამენტის პრეფექტი რივო იმ ეტლში მჯდარა, რომელიც პრეზიდენტის ეტლს მისდევდა; მასთან ერთად იჯდა თუმე დიუპუი, მას უნახავს, როგორ მოჰკლა კაზერიომ კარნო. პირველად რომ ჩამოვართვი კაზერიოს ჩვენება იგი სრულიად დამშვიდებული იყო, რამდენჯერ ვსთქვი, რომ პრეზიდენტს გაჰფრთხილებოდნენ. ნუ მისცემთ-მეთქი, ვამბობდი, მიახლოვების ნებას მეტადრე იმათ, რომელთაც ყვავილებია და ქაღალდები ეჭირათ ხელში. ყოველივე სიფრთხილე ვიხმარე ჩემის მხრით და თავის მართლება არ მჭირია. ჩემი საქმე არ არის გამოვიძიო, თუ ვისის ბრძანებით ჩამოსცილდენ პრეზიდენტის ეტლს მხედრები. გამოფენაზედ მე ვუდექი გვერდით პრეზიდენტს და არ ვაძლევდი ნებას, რომ საეკვო ხალხი მიახლოვდებოდა თუმცა-კი სამ რიგად რომ შემორტყმოდა ჯარი, ესეც არ შეეშლიდა ხელს ისეთს თავ განწირულს კაცს, როგორიც კაზერიოა, თავისის გახზრახვის შესრულებას. თუ ადამიანმა სიცოცხლე გასწირა და სხვის მოკვლა ჩაიდო გულში, ყოველთვის მოახერხებს თავისის გარდაწყვეტილების აღსრულებას. სალხმა (მოძრაობაა).

დამნაშავე. ლიონში რომ ვერ მოგეხერხებინა იმისი მოკვლა, სეტტასვე დავბრუნდებოდი ჩემს სამეფოზედ. მაგრამ მეორედ რომ შეეხვევ-დროდა სადმე, უთუოდ დავკრავდი მას გულში მახვილს. (სალხმა სიშინელი მდელვარებაა).

ქალაქ ლიონის მოურავმა გალიეტანმა, რომელიც პრეზიდენტთან მჯდარა ეტლში სთქვა, რომ კაზერიოს „პირუტყვი“ დაუძახე, რადგანაც იმის მოახლოვების დროს ვიფიქრე, უჩრდელად და გაუფრთხილებლად მიართვა რესპუბლიკის პრეზიდენტს თხოვნა მეთქი. და მხოლოდ მაშინ მიეხვდი, რომ კარნო დაჭრილი იყო, როდესაც მან წამოიძახა. კაზერიო შეერია ხალხში და დამალვა უნდოდა.

ხარაზს დომრეგს და დალაქს ბოტიას, რომელთაც პირველად დაიჭირეს კაზერიო, ახალი არა უთქვამთრა. იმათ ჩვენების შემდეგ დამნაშავემ სთქვა; „ეწუხვარ, რომ მახვილი პრეზიდენტის გულში ჩავტოვე, თორემ უთუოდ მოვკლავდი იმასაც, ვინც ჩემს დაპატიმრებას მოინდომებდა. (სალხი მეულვარებს).

პოლიციის მოხელემ დიუბუამ სთქვა, რომ გამოფენაზე ერთი კაცი შეენიშნე, კაზერიოსავით ჩაცმული, რომელიც უკნაურ საეკვოდ ტრიალებდა პრეზიდენტის ახლოს, მაგრამ ის კაზერიო არ იყოო.

მეპურე ვიალმ, რომელთანაც უმსახურნია კაზერიოს, სთქვა, რომ კაზერიო ცოცხალი და გულ-ზვავი იყო ყოველთვის. ძალიან ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით, ანარხისტთა შესახებს წიგნებს, და ანრის სამქმის შემდეგ, განაცხადა, რომ თუ ოდესმე მოვიწვადინე ვისიმე სიკვდილი „დიდს ვისმეს“ მოვკლავო. სეტტას პოლიციის მოხელემ კროჩიოკომ სთქვა, რომ მე შემატყობინეს კაზერიო ანარხისტიაო და მეც თვალყურს ვადევნებდი, მაგრამ ვერა შევატყე-რა, თუ ასეთის დანაშაულის ჩადენა უნდოდაო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სპირს სნეულებანი: სახიერურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. კ. რუდგოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და ედდათა სქესისა.

ი. ფ. ბრატასეკიჩი, 11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ს. ძ. ტურბოგიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. ედდათა სქესისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ს. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ვ. ფ. ფანტიუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერიფასი ათი შაური; ფასი კოსნილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დარეკტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინასა ნავასარდიანი.

(857—1467)

ვერცხლისა

ტფილ. გამოფენა.



ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

ა. ა. თუთაევისა

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲘᲐᲠᲛᲣᲨᲐᲯᲘᲡ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დადის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა და-სხვა წონისა ჩემს ფაბრიკაში. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვალევ სიტყვას, უკანასკნელ საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შედეგილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფერთ, მახალების ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოიევის სახლის კრაშ მწკვნე ფერად-მედიანკთ, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად ავლაბარ ქვეზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი ალმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტაპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

მინც დროიანად შემომიკვეთს, ყოველ გვარას სელოსნებსაც კუშოვნა საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—5 ალლო თუთაევი

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 50„
10 „ . . .	8 „ 75„	4 „ . . .	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დათმობათ 8 მან. ტფილისის გარეგ მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВѢРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის გაწმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲔᲓᲐᲓ

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსა დაიკავებს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნის. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეიკოლტეულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ეფლარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების მესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებელად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათ დე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიგოლოოზის ქუჩაზე, 21.

*) კბილებიანი რკინაა, რომელსაც ხელზედ იკეთებენ საკროდ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 1-го Августа 1894 г. სტამბა ვ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.